გეოგრაფიული ტერმინების დამკვიდრება ქართულ სამეცნიერო ლიტერატურაში

თინათინ ნანობაშვილი
ელ.ფოსტა: tinatin.nanobashvili@tsu.ge

გეოგრაფიის დეპარტამენტი, ივ. ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, თბილისი 0179, ი. ჭავჭავაძის #3

ქართული გეოგრაფიული ცოდნა სათავეს ანტიკური ხანიდან იღებს, აღმავლობის პერიოდად კი მე-18 საუკუნე ითვლება. თუმცა რაც შეეხება სამეცნიერო გეოგრაფიული სკოლის დაფუძნებას საქართველოში, იგი რა თქმა უნდა, აკადემიკოს ალ. ჯავახიშვილის სახელს უკავშირდება. ქართული სამეცნიერო ენის ჩამოყალიბება და გეოგრაფიულ ტერმინთა დამკვიდრებაც ფაქტობრივად მე-20 საუკუნეს განეკუთვნება. ახალგაზრდა ანთროპოლოგის ალ. ჯავახიშვილის რუსეთიდან სამშობლოში დაბრუნებით და პირველი ქართული უნივერსიტეტის დაარსებით საქართველოში საფუძველი ეყრება სამეცნიერო გეოგრაფიასაც. საჭირო ხდება სამეცნიერო, ლიტერატურული ტერმინოლოგიის შემუშავება; რიგ შემთხვევაში თარგმნა და უფრო ხშირად კი აქამდე უცნობი ქართული შესატყვისების მოძიება, ხოლო სამომავლოდ ზრუნვა იმაზე, რომ ეს ტერმინები დამკვიდრდეს ზეპირმეტყველებაში, რომ ისინი ენამ გაითავისოს. ალ. ჯავახიშვილი სწორედ ამიტომაც იწოდება ქართული გეოგრაფიის პატრიარქად, რომ მან გარს შემოიკრიბა თანამოაზრეები, დააარსა ქართული გეოგრაფიული საზოგადოება, არაერთი გეოგრაფიული მიმართულების ფაკულტეტი და კათდრა საქართველოს სხვადასხვა ქალაქის სასწავლო და სამეცნიერო კვლევით ინსტიტუტებში.

სტატიაში განხილულია ქართული გეოგრაფიული ტერმინების ალ ჯავახიშვილისეული ვერსიების შეთავაზების ცდები, რომელიც პირველ ქართულენოვან მონოგრაფიაში იყო მოცემული და ასევე ის ტრანსფორმაცია, რომელიც თითქმის საუკუნის განმავლობაში ამ ტერმინებმა განიცადა.